


ფასი 10 კაპ.



№ 3 (26)

გან. „კომუნისტი“ სხლიტ. სსამხატვრო ორგანიზული დამატება

№ 3 (26)

ნაქალაქის არწივნი.

მოსტოვა.

(გუბდნი ნაქალაქეველ მუშებს).

I. რემოლიუტიონური ტვილინი.

ბალტიის ზღვიდან შავ ზღვიანდ და შავი ზღვიდან წყნარ ოკეანეშიდ გაჟოლილა შავი რეაქციის ზღაპრული გველაშაპი და საზარლად ბრდღვიანეს, საშინელი სიმკაცრით სპობს და სისხლში აღრჩობს მუშათა მოძრაობას...

დამსჯელი რაზმები მუშობენ მთელი თავისი სისასტიკით...

მათ უკვე გაანადგურეს ბალტიის მხარე, ესტონეთი, პოლონეთი, დასავლეთ-საქართველო...

ინგრევა ქალაქები.

ინგრევა სოფლები.

აუარებელი სისხლი დააქციეს მეფის ჯალათებმა.

აუარებელი მუშა-რევოლუციონერი გადაარეკეს ურალის მთებს იქით და გააგესეს ციმბირი ვადასახლებულებით, რათა მოესპოთ მათთვის საშუალება სარევოლუციო ასპარეზზე ბრძოლისა, მაგრამ შესცდნენ ანგარიში.

ვადასახლებული რევოლუციონერები ისეთივე მტკიცე რევოლუციონერებად დარჩნენ, როგორც იყვნენ ვადასახლებამდე.

ისევე თავდადებით და გტაცებით მუშობდნენ შორეულ ციმბირში საერთო საქმისთვის, როგორც თავის სამშობლოში.

ერთხელ ვადვიებული რევოლუციის ნაპერწკალი მათ გულში ვერ ჩააქრო ციმბირის მკაცრმა ჰავამ, მკაცრმა ზამთარმა, მკაცრმა რეჟიმმა, ის კვლავ ვანავრძობდა ვადვიებას და აპირებდა კოკონად ვადაქცევას...

მუშობდნენ ციმბირში...

მუშობდნენ მოსკოვში, ლენინგრადში, ოდესაში, ვარშავაში...

არც ჩვენს დედა-ქალაქს ეძინა.

ფიზიულ დარაჯად უდვა რევოლუციის საქართველოს და მასთან ერთად მთელი კავკასიის დედა-ქალაქი—ტფილისი.

ისიც გვერდში ამოსდგომოდა სხვა დიდ ქალაქებს და რევოლუციის აღში ვახვეული მუშაობდა საერთო საქმისთვის...

II. ნაქალაქის ქოხები.

სძინავს ტფილისს.

სძინავთ მის ვანაპირა უბნებს—ვაკე-საბურთალო-ავლაბარ-ნაქალაქევეს—თავის ქოხებით. უკანასკნელი ბუდდა რევოლუციის არწივებისა.

ამ არწივებსაც სძინავთ.

ისევენენ ბრძოლით დაქანტულნი, რომ დილით ადრე ისევ ჩაებან უსწორო ბრძოლაში...

არ სძინავთ მხოლოდ მუშათა კლასის ჯალათებს.

პოლიცია, ქანდარმები, ყაზახები ფხიზლად სდარაჯობენ არწივთა ბუდეს—ნაქალაქევეს—და ქალაქის სხვა უბნებსაც, იმ უბნებს, რომელთა შიშშიც მათ ძილს უფრთხობს, მოსვენებას უკარავს.

რამდენადაც შეუპოვარია ნაქალაქევი თავისი არწივებით, იმდენად სასტიკი არიან მისი ჯალათები, იმდენად მწვავეა ბრძოლა...

ციხეები სავსეა მუშა-რევოლუციონერებით. მუშაობს საღრჩობელა, მათრახები, უმოწყალოდ გრიალებენ ზარბაზნები...

მაგრამ ყველა ეს ვერ აზინებს ნაქალაქეველებს, ისინი არ ჰვიქრობენ ფარ-ხმლის დაცურას და ვანავრძობენ თავის ჯალათებთან ბრძოლას,—ბრძოლას მედვარს, ბრძოლას შეუპოვარს, ბრძოლას უკეთესი მომავლისათვის...

III. ბრძოლაში ვადვიება.

ვათენდა დილა.

მამადავითის მოძს წვერი უკვე შეიმოსა ოქროსფერი სხივებით.

ამძრავდა მთელი ქალაქი.

ვავიციული მუშები ათასობით მოეფინენ ქალაქის ქუჩა-მოედნებს.

რკინის გზის მთავარ-სახელოსნოს საყვირმა ღრილი მორთო. ის მოუწოდებს მუშებს ერთად მოიყარონ თავი, ბრძოლისთვის მოემზადონ, დაირაზმონ...

ნაქალაქევის ყოველ კუთხიდან სახელოსნოსკენ იწყებს დენა მუშებმა.

ვაისხნა დიდი მიტინგი.

ვაისმა რევოლუციონური ხმები, რევოლუცი-

ციონურ გულებიდან ამოხეთქილი, რევოლუციონურ სულით ვაქუნთილი ხმები:

— ძებო! ბრძოლა ბოლომდე!

— მხოლოდ ბრძოლით მოვიპოვებთ ჩვენს უფლებას!

— ბრძოლაშია ჩვენი ბედნიერება!

— ან სიკვდილი ან ვაპარჯება!

აღფრთოვანებული, ბრძოლის ყინით ვატაცებული მუშები ტაშით აჯლოლოვებენ ორატორებს.

მათი ტაში აყრუებს იქაურობას.

— დაიშალენით!—უცებ ვაისმა ვილასაც რიხინი ხმა.

მოიხედეს ნაქალაქეველთ და ნახეს ურიცხვი ჯარი და ყაზახები, რომელნიც ალყად შემორტყომოდნენ მათ.

მაგრამ მათი ნახვით არ შემდრკალან ტირანის წინააღმდეგ მებრძოლ მუშათა გულები. იგინი მზად იყვნენ საბრძოლველად, ვინაიდან ბრძოლაშია ბედნიერება...

— ყაზახებო! დასცხეთ!—კვლავ ვაისმა რიხინი ხმა.

ვამხეცებული ყაზახები დავრიგენენ მუშებს. უკანასკნელი იბრძვიან თავგამოდებით, იბრძვიან უსწორო ბრძოლაში კეტებით, კვერებით, ცარიელი ხელებით...

იბრძვიან მარტოდ-მარტო, მათი მშველელი არააინ არის; მათი მხსნელი მათივე თვითშეგნებაა, მათივე მკლავია, მათი ძლიერი სულა, რევოლუციონური სული...

იძლიენს ცარიელ ხელებით მებრძოლნი...

ვაძვანტეს ყაზახებმა იგინი.

დაჭრილ დაჩხილნი, მოკლულნი დარჩნენ ბრძოლის ველზე.

— ამხანავებო! მოვროვდით!—მქუხარე ხმით იძახის ერთი მკლავში დაჭრილი მუშა.

ამხანავებო! გროვებთან ალაგ-ალაგ პატარა ჯგუფებად და ვანავრძობენ ბრძოლას.

პატარა ჯგუფთა შეუპოვარ ბრძოლით ვაზახებუნი ყაზახები საშინელი სისასტიკით ეპყრობიან მოწინააღმდეგეს, არავეს ჰზოვავენ...

IV. დენარალი ბრიაზნოვი.

დალაშდა.

შავ დღეს შავი ზეწარი ვადავფარა.

მკრთალი სინათლე ვამობუტუტავს ნაქალაქევის ქოხებიდან.

* *

მეზიზღებოდა მორჩილები და კრემლთა ფრქვევა, მეზიზღებოდა ცხოვერების წინ ვინც ქედს იხრიადა; ვიყავ ამაყი და მიყვარდა მუდამ შეტევა, ჩემი ყვირილს ლაჩრებსაც კი გმირებად ჰქმნიდა!

ვიყავ პოეტი, მაგრამ გულში ვკლავდი სინახეს, ყვევილთა ნაცვლად პოეზიის ლენცოვებს ვშლიდი; მუშათა უზნებს მხენ სიმღერით დაეჭქროდი თავზე და მომავალი გამარჯვების იმედებს ვზრდიდი.

მაშინვე ვივარქენ მწერლობაში სხვადასხვაობა, მაშინვე ვივარქენ შრომის შევლთა ღრმა სიყვარული; ჩემს მხარეს იყო საქართველოს ახალთაობა და მისთვის შეეჭმენ პოეზია პროლეტარული დღესაც მასთან ვარ, მას ვუმღერი ქებათა-ქებას, იგია მხოლოდ ერთად-ერთი შრომის შალქარი, ვაი მას, ვინც რომ არ იწამებს მის გამარჯვებას და ვაშა იმას, ვინც მის მსხვერპლად დაიცეს მკვლარი!

2. ძუჩიზვილი

სიმიდღრეზე, რომელიც შევარგოვ მან კუნძულ გაიტყეპე ზანგებით ვაჭრობით.

მოედანზე მე ზურგი შეეპეცეე მამაჩემს—მეფის მსაჯულს, რომელმაც დასწერა ტრაქტატი: „ქება წამებას“, მიძღვნილი ლიუდოვიკ მეთექვსმეტისადმი, მოწონებული პაპა პიი მეექვსეს მიერ.

უფლებათა დეკლარაცია—მე ვატარებდი მას ჩემს გულში. მე ვოცნებობდი, ო, რომის რესპუბლიკა, რესპუბლიკა საფრანგეთისა!

საბრალო კაცობრიობა! შენ გეჩვენებოდა თითქო განახლების გზაზე იყავ დამდგარი, ნამდვილად კი უფსკრულში მოიქანებოდი. მაგრამ ახლა კი ეს ნამდვილი დასაწყისია.

დღე იწურობოდა იქაც, სადაც პატარა ფრინველებმაც მიუძღვნეს ზეცას პიმნი. ჩვენც, ჩვენც წარმოვეტყეით წმინდა ჯადოსნური სიტყვები: ძმობა, ერთობა, თავისუფლება.

პირველთა ჩვენ წარმოვეტყეით ეს სიტყვები, რომლებიც შემდეგ ვავატანე მძლავრ ნიავე-ქარებს. ჩვენ გვათხოვდენ მისი ხმები ჩვენ მათ ისეთ მშვენივრად ვთვლიდით, იმდენად თვალწარმტაცათ ვთვლიდით, რომ თითქო ცას ვსწვდებოდით; ახალგაზრდა ვაყები, ქალები,—ჩვენ გეკვებოდით ქალაქის ბაღებში, გვახარებდა ამ სამი სიტყვის ჰარმონია. შორს კი, ხეებს იქით, რომლებსაც ამშვენივრად ნაციონალური კოკარდები, დიდი პარიზის ქუჩებში დღევად ხალხის სიხარული.

რა აღმშუოთებელი ვიყავით ჩვენ იმ სალაპოს და როგორი შეურაცხყოფა მივაყენეთ შე და ჟერარმა ჩვენს წინანდელ მგებობარს ბა-

რონ დე-ლა-მარკს, რომელმაც გაბედა და იცავედა მეფეების „წმინდა“ უფლებების და აღშფოთებული იყო რევოლუციით...

...წარსულის ლანდები ქრებიან და უდაბნო დილამ შემოანათა ჩემს ოთახში, სადაც ოცნება და სინამდვილე, გუშინდელი და დღევანდელი დღე ებრძვიან ერთმანეთს.

ახლა კი, როგორც იქნა იწყება... დიად, მე მჯერა, მეგობარ სინამდვილის, როცა ვდგევარ პირისპირ ჩემი თავის წინ, მე —ბარონი და სახელმწიფო მრჩეველი სერაფიმ ტრაშელს,—ყველას მიერ პატივცემული საზოგადო მოღვაწე.

მე მინდა ვიყურო სარკეში, ჩემს სარკეში, რომელიც მე შელოდებდა.

რა მშვენიერი თავი მაქვს მე! რა კეთილშობილი გამომეტყველება!

დიად, ეს არის ჩემი—სახელმწიფოში ყველასათვის ცნობილი პირის სახე. მე ვუქერი ჩემს თავს და ვიღივები: ეს სახე ხომ ეკუთვნის სახელმწიფო მრჩეველ ბარონ სერაფიმ ტრაშელს, ახალი კონსტიტუციონურ-ლიბერალური პარტიის ბელადს, საფრანგეთის სახელგანთმსახურს, რომლის შესახებ შემდეგ იტყვიან: მისი ხასიათი ისევე დიდი იყო, როგორც მისი პოლიტიკური სიბრძნე.

მე რამდენიმე ნაბიჯს ვსდგამ დამშვიდებით და კვლავ ვიქერივარ სარკეში. ტანთ მაცვია ხალათი მოსკოვის ბეწვეულობიდან. გავიდენ წლები, მაგრამ ტანში ვერ მომხარეს. სახე დამინაოქდა, მაგრამ როგორი სადარბაისლე და კეთილშობილება შეინარჩუნე მოხუცობაში! თითქოს მოედლი დიდი მხატვრებისა, თითქო ქმნილება იმ შესანიშნავი ხელოვნების, რომელიც გულში ჩაისახა და რომელსაც ქრომო-ლიტოგრაფია, ეწოდება,—ისე ვბრწყინავ მე. ჩემ სახეში შეთავსებულია კეთილშობილება სენატორის და დამცინავი ღიმილი თილო-სოფოსის, მოხერხებულება იფუიტის და ბოლოს პოპულარობის შერავანდლი.

— თქვენო ბრწყინვალებაგ...
— თქვენო ბრწყინვალებაგ...

და ჩვენ სერიოზულად ვეცსკერით ერთმანეთს. ის ხშირად მოდის ჩემთან, რომ მინახულის და მეგობარაკება როგორც სწორი სწორს—მისი ბრწყინვალება პირინცი დე-ლა-მარკ, მისი უდიდებულესობის, ავსტრიის იმპერატორის დღესმან ჩემი მღვდლომარება სახელმწიფოში შემძღვია გაუთანასწორო მის მღვდლომარებას. მე ვგევარ მას სიდარბაისლითა და მანერებით.

და იმ დროს, როცა ჩემი თვლები ათვალეიერებენ მის ვოლტერის მსგავს დანაოქებულ სახეს, ჩვენ ვიკონებენ წარსულს. წარსული წლები, რომლებიც ჩვენ გვაკავშირებდენ, ცოცხლებიან ჩვენს მხესიერებაში. ჩემს ძველ ცნობილ მეგობართან მე გულახდილი ვარ: მე დამნახვე ვარ. წინათ, რევოლუციის წინ—რა ლაბირინტებში დავხეტებოდა ჩემი აზრი, რა საოცარ სურათებს ვხედავდი მე. დიად, მე გიყვი ვიყავი, როცა მეგობრად მაშინდელი იდეების, აბსოლუტური იდეების, მქუჩის და სისხლის ფრად წითლის.

განა მთელ რუგ წლების განმავლობაში მე არ მქონდა ჯოჯოხეთური განზრახვა ხელი ამელო მაშაქმის მემკვიდრეობაზე, რომელიც მან შემიძინა კოლონიალური ვაჭრობით!

მონობის მოსპობამ სან-დომინგოს კუნძულზე სწორი გზა მიჩვენა მე: მონობის მოსპობის წყალობით მე წამეროდა შემოსავლის წყარო. მე ვავიწურე იქით, კუნძლისაკენ, გადავლახე ზღვები, მონაწილეობა მივიღე აჯანყებაში, რომელიც დაიწყეს ამ წმინდა უფლებების მოსპობით აღშფოთებულმა ფრანგმა ემიგრანტებმა და როცა დაებრუნდი სამშობლოში მე ვიხილე საფრანგეთი, რომელსაც უკვე ჟარი ეთქვა რევოლუციონურ შეტეომებზე, დამდგარი სწორ გზაზე. ჩემი პოლიტიკური კარიერა დაიწყო მაშინ, როცა ნაპოლიონმა თვისი თავი საფრანგეთის რესპუბლიკის იმპერატორად გამოაცხადა. ბუნებრივია, რომ ნაპოლიონმა სხვა ბრძნულ ზომებთან ერთად აღადგინა შავკანიანთა მონობა, რადგან დარწმუნებული იყო რომ, მხოლოდ მონობა გაუხსნის ამ ხალხებს გზას ცივილიზაციისაკენ.

როცა ნაპოლიონი დამარცხდა, სამი მეფის კავშირმა—მეფე—კათოლიკეს, მეფე—პროტესტანტს და მეფე—მარმადიდებლის კავშირმა, ერთხელ და სამუდამოდ განამტაცა კონტრ-რევოლუცია და დიდი ხნით ჩამოაქვეითა საფრანგეთი, (მაგრამ ამან არ უნდა აღგავშფოთოს, ვინაიდან სოციალური წყობილება უფრო წმინდაა, ვიდრე სამშობლო).

ყოველთვის, როცა მე ველაპარაკები მას ამ საგნებზე, საუბარის დასასრულ მე ვეუბნები:

— თქვენო ბრწყინვალებაგ! საფრანგეთის რევოლუცია იყო მეტოროი, რომელიც ელვით იწვებოდა, სანამ ჩაქრებოდა, რადაც სიტყვების ცეცხლის მფრქვეველი მთა, რომელიც ამოქმედდა. რამდენი დიდი სიტყვები წარმოიტქვა, რამდენი პოეტური დაპირებები და ტრალიკული აღთქმები იყო მიცემული. იმ დროს როცა მე ვლაპარაკობ, ჩემს პატივცემულ თანამესაუბრეს მოუთმენლობა ეტყობა, თვალები უბრწყინავს. როცა ვათავებ ის ამზობს:

— ო, დიდი ღმერთებო! რა წინდაუხგდავობას იჩენდით თქვენ. რას არ ეპოტინებოდა მაშინ ფრანგების დიდი და დაუღუგვარი გონება.

ჩემს პატრიოტიზმს შეურაცხყოფს ეს აფორიზმი და მე უპასუხებ:—იდეალიზმი არსებობს თითოეულ ქვეყანაში; და მან მოიტანა თავისი შედეგები... აი მაგალითად ჩვენ...

— თქვენო, მიპასუხებს პრინცი: თქვენ, ხართ ბურჟუა. დაკანონებული ვიგინდარები, და თქვენ გშვათ დიდმა რევოლუციამ.

— დაკანონებული ვიგინდარები,—დიად, მაგრამ ჩვენს კანონმდებლებიც ვართ, ჩვენ ვართ ბატონების ახალი კასტა, ბატონების ახალი კასტა.—ვიმეორებ მე.

— „საზოგადოებამ მეთქი,—ვამბობ მე,— მიიღო შესაფერი ფორმები. 1789 წ. ჩვენ განვახორციელეთ უდიდესი იდეა, რომელსაც მოითხოვდენ საუკუნეები: ძველ პრივილეგების ნაცვლად ჩვენ შეეჭმენით ახალი პრივილეგიები. რევოლუცია მოახდინა ხალხმა. ის მოახდინა მან იმიტომ, რომ ის საერთოდ ბევრ რამეს ახდენს. ის გამოვიდა მისი წიალიდან... ის გამოვიდა მისი წიალიდან, რომ მას არასდროს არ დაუბრუნდეს.

— დიალ, ის დაგვიბრუნდა ჩვენ:—მესამე წოდებას—ბურჟუაზიას.—სოციალური მეცნიერება—ხელოვნება, რომელიც იმაში გაბაიზატება, რომ აიძულო ალიარონ შეუძლებელი ახალი წყობილების ამშენებელი არიან მხოლოდ ადვოკატები: როცა თქვენ ამბობდით სიტყვებს: „მასების კეთილდღეობა“, „ხალხის ნება“, როცა თქვენ ეს თქვით, თქვენ გააკეთეთ ყველაფერი. და რა რევოლუცია მოხდინეთ თქვენ ამ სიტყვებით! თქვენ მიაღწიეთ იმას, რომ ძველი რეჟიმი შესცვალეთ კონსტიტუციონური რეჟიმით ან როცა ეს დაგპირდებოთ, რესპუბლიკანურით.

—...ან რესპუბლიკანურით, მოკლეთ რომ ესთქვათ, ეს იქნება რეჟიმი; როგორც ყველა სხვა. იმ წინააღმდეგობის წყალობით, რომელიც არსებობს თქვენ მიერ გამოცხადებულ „თავისუფლებასა“ და თქვენ მიერ შესრულებულ საქმეს შორის, საფრანგეთის რევოლუცია გადაიქცა უდიდეს სიტყვით.

დიალ, ეს იყო უდიდესი სიტყვე, მაგრამ ქრისტიანობის შემდეგ, თქვენო ბრწყინვალე ბავ.

ამ სიტყვებზე, ფრანც პირველის ელჩი წამოხატა საფარძლიდან, ბრაზით შემოხვდა. მე თვალი ვაუჩერე. ასე მიფრებებივართ ჩვენ ერთმანეთს რამდენიმე წუთის განმავლობაში, შემდეგ ვიღივებით, შემდეგ ვხარხარებთ, და თითოეული ჩვენთაგანი თავის გულში ხედავს თუ როგორ ვაგვ ერთმანეთს ორივე კომედია, რომლებიც ავბებული არიან მოტყუილებაზე, ლარიბების მოტყუილებაზე.

მისი ბრწყინვალეობა დგება. და მანამ, სანამ გამომეთხოვებოდეს მეუბნება:

— არასოდეს არ უნდა დაივიწყოთ, რომ საჭიროა ხალხში რელიგიური აღზრდის შეტანა.

უკეთესია თქვენო ბრწყინვალეობა ვაგაძლიეროთ ხალხში ომის წყურვილი, გამდიდრების სურვილი. „გამდიდრდით“,—ი ეს ყივინა უნდა გაისმოდეს კიდით კიდემდე, რომ ადამიანებმა თვალი მოაშორონ ლავეარდოვან ცას და მედგრათ ევკეთონ ერთ მეორეს.

ჩვენ ვეთხოვებით ერთმეორეს.

— თქვენო ბრწყინვალეობა...

— თქვენო ბრწყინვალეობა...

როცა პრინცი დე-ლა-მარკი წავიდა, მე ვფიქრობ იმის შესახებ, რომ მე ვარ ნაყოფი რჩეული უმტირესობის გამარჯვებისა მასების შეურყეველ მორჩილებაზე. დიალ, ეს ასეა: მე მართალი ვარ. მაშ რატომ ვგრძნობ, რომ ჩემს სიმშვიდეს არღვევს რალაცა? მაშ რატომ არის, რომ მთელი ჩემი სხეული კანკალებს, როგორც ძირ მოშალი ხე?

პანენკლემერიდან.

პოლიტიკური პოეტი.

ღრმა უფსკრულების ქებახედიდან სუნთქავს ძლიერად ის თეთრი ორთქლით. მისი სისხლი სჩქეფს ცხელ კრანებიდან. საყვირად ესმის ხალხს მისი მოთქმა. იმას ყოველთვის სტანჯავს გნომები, ზურგზე რომ აწვეთ მძიმე ტვირთები და ეცოდება შავი მონები, ტანჯავს სახე განათობის. იმისი სიჯა სცემს ზარბაზნებთან, ის ციკა ცხლობს ბრაზით სავსე ჯარებში; მას უტირია ქუჩის ქალებთან და ბუნტარებთან ბნელ საკანებში. ხშირად, როდესაც საღამო ჟამზე ზარების რეკვა ისმის გვიანი, ის ყურს მიადებს ცივ ფანჯარაზე და ესმის კენეს დადამიანის. ღამით კი როცა ქუჩა ენთება, ბინძური ქალების გინება ისმის, როს ჰოსპიტალში სიცოცხლე ქრება, შვიერი კვალად დადის ლუკმისთვის, როცა ხილვად ვინმე ვარდება, ყვირით დაბაზთა ფანჯრები ბრწყინავს და ანარქისტი ბოროტ ქვეყნისთვის იარაღს ღესავს და აღარ სძინავს, როცა ფილიდობა, სიმართლედ ხდება, მტარვალს თავს ედგმის შარავანდედად, მძლე ამბოხების ცეცხლი იფეთქებს და მთაველები გადათადდება— მაშინ მაღალი კოშკების თავზე გაჩნდება გული ტანჯვით სეტყვილი და გაისმება საყვირთა ხმაზე: აღსდგე, ისმინეთ წინასწარმეტყველის. აღსდგე იბრძოლე, აღსდგე მოკვალი! მონის ჯაჭვები დასტყდეს გრაილით და პარლამენტის ძალი უკმალო ნუ გსურს, მას ჩაჰკლავს ლომის ღრიალი... ისმის ცხენების ფეხთა თქარუნია... თითქმის გასწმინდეს ქვაფენილები... საქმე განდგა... მაგრამ ბრძოლაში მიღიან მედგრად მუშა-ქალები. სამარეკლოებმა მაღალ სახლებთან სროლა-გუგუზზე წმრევა დაიწყეთ და ტელეგრაფმა ძლიერად ხმებით ამბოხებებზე ქვეყნებს აუწყა.

ხალხის ნაწილი დარჩა ბაზარში. ისმის კაკანი ტყვიისმფრქვეველის. ჰყრია ვავიმები ქუჩის ტალახში და მოსჩანს ტვირნი გაღანთხეული. აღულებული ზეთით დამღულრეს ის მიიორი, რომ ქლეტდა ბრბოსა. საღამო დადგა. მზეც ჩასვენა. ქარხნებზე ბრწინავს წითელი დროშა. შეჩერდა ბრძოლა. კმარა სისხლის ღვრა. ჩვენ ხომ ერთნი ვართ, ერთად მოკვდებით. დიდი ხნია ჩვენ ვართ ნაცნობნი. სასახლისაყენ დაიძრა ყველა. აივანზე სდგას მეფე-ბატონი. „მოვიდა შერი აღსასრულის დღე, გუყოფა ტანჯვა ჩვენი ამდენი“. ბნელა. გათავდა. ხალხი ისვენებს, მაგრამ ყაჩაღებს სულაც არ სძინავთ. დღეს შეიძლება სუყველაფერი. ბოროტმოამქმელი ეძებს ხაზინას. ავანჯკებმა მდიდართ სახლებში ხალხი აქატივს და შეაძრწუნეს, ვვამებს აქიან ბექდიან თითებს და ნამუსს ხდიან ბნელში ქალწულებს... დამთვრალი ხალხი ევკვობს, ზეიმობს. იაკობინელთ შვენით ქულები. ოხ, სამართალო, შენ მოხვალ შემდეგ და მოისპობა მონის ხუნდები... თავისუფლების მტკიცე მებრძოლო, იყავი მოწმე პატოსანი, შეხედე ციურ ნაბიჯით მოდის ქვეყნის საქმისთვის ხალხის მგოსანი. იმის თვალებში მზის სხივი ბრწყინავს, ღამე იქცევა სინათლის სვეტად, მასთან იცვლება მთელი ბუნება, ის სხვა ძალაა, სხვა შემოამქმელი. არ სურს ოცნება მას ციფერ ზღვებზე, ის შესტრფის მხოლოდ ახალ იმედებს. ვეფხურად ებრძვის ბოროტ სურვილებს და ხალხისათვის სიკეთეს ეძებს. გამარჯვებისთვის ხმალი არ კმარა. ბრძოლების წინმა განვლო სიბრძოლით. დეე, ჩემ კულის ამკობდეს ხალხი თავისი ხელით დაწულ ვეირავინით.

გენგვად ჩამოჰიდებული სისოხსლა

(სურათი რევოლუციონური ძობრაობიდან).

1906 წელი იწურებოდა. თუმცა რეაქციის სუსხი ისევ ტრიალებდა, მაგრამ რეაქციის მიერ დანგრეული მუშათა ორგანიზაციების ხელახლათ შენება და მოწყობა უკვე დაწყებული იყო უკეთეს საფუძველზე. რათა მომავალში აღარ განმეორებულყო ზოგიერთი განვლილი შეცდომები. თბალისიც მხურავლე მონაწილეობას იღებდა ამ მუშაობაში და მოძმე ქალაქებს—ბათუმს და ბაქოს პირველობაში ედავებოდა. ღამე იყო. კვირაცხოვლის ქუჩის მახლობელ შესახვევში ერთს სახლის ეზოს კარებთან, რალაც დაუსრულებელი ფუსფუსი იყო. ადამიანები შედი-გამოდიოდნენ. აღაყუთის კა-

რებთან სამნი იდგნენ და ენც მოდიოდნენ თითო-თითოდ შეჰყვანდათ დიდის სიფრთხილით და მასპინძლები კი უკანვე გამოდიოდნენ. ეტყობოდა, რომ აქ რალაც საიდუმლოებას ჰქონდა ადგილი. მაგრამ, გამოცდილი თვალი მიანც შეამჩნევდა, რომ ესენი სამხედრო პირები უნდა ყოფილიყვნენ, რადგან წელზე ხმლები ერტყათ. — ახანავო სტანისლაე! გადაიხედე აგერ იქ გადალმა ქუჩაზედ ვილაც ატუხულა, კი არავინ ვაგვეცეს და თითი გაიშვირა იქითკენ! სადაც შეამჩნია უცნობი პირო. გამოცდილმა სტანისლაევმა, სწრაფად გაიხელა იმ მხარეს, საითაც ახანავამ მიუთითა



სიკვდილის ნახვალად თავისუფლება

პ ი ნ ც...

— დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, — ასე დაიწყო ჩემმა მესაუბრემ. — რაც მე თბილისიდან რამდენიმე ვერსის მოშორებით ერთ სოფელში დამნიშნეს კომისრის თანაშემწეთ. არ გაუფლია დიდხანს, მომიტანეს ამბავი ერთი ყაჩაღის შესახებ, რომელიც შიშის ზარსა სცემდა ამ სოფელს. მაგრამ ფიქრათაც არ მოსდიოდათ რომ ეს ბანდიტი ერთხელ და სამუდამოთ აელაგამო. ამიტომ მე გადავწყვიტე, რომ თუნდაც სიცოცხლეთაც დამიჯღმე, უნდა დავიჭირო მეთქი და შეუდექი კიდევ იმის ფიქრს თუ როგორ და რა გზით მომიყვანა სისრულეში ჩემი გადაწყვეტილება.

შეუდექი დაწერილობითი იმისი ვინაობის გამოკვლევას. გავიგე სახელი გვარი, ბინა და ოჯახური მდგომარეობა. ამის შემდეგ ბევრი აღარ დავაყოფე და ორი ჩემი ამხანაგით გავესწიე იმ სოფლისაკენ, სადაც ის მეგულეობდა.

მზე უკვე გადაიხარა, სინათლემ სიბნელეს დაუთმო ალაგი. ყოველდღიური შრომით მოქანცული გლეხები ტუბილ ძილს მისცემოდნენ და სოფელს ჩვეულებრივი სიცოცხლე აღარ ეტყობოდა, ისმოდა მხოლოდ ხანგამოშვებით ოჯახის ერთგულ დარაჯთა ყეფა და ხანდისხან ძროხების ბლაგილი...

ჩვენ გავიარეთ სოფლის ერთი ნაწილი და დაუახლოვდით მეორეს, აქ კი ჩემი ყურადღება მიქცია ერთ ჩემს ნაცნობ ოჯახში საწილის შექმა და რამდენიმე ადამიანის ხმაურობამ.

ჩვენ დაუახლოვდით ამ სახლს, შევიხედეთ ამ სახლში და ჩვენ თვალიდან გადმოვალა ნამდვილი ქართველული გულუბნე მასპინძლობა: აქ მთელი ტახტის სიგქეზე გაშლილი იყო ძველებური ლურჯი სუფრა, რომლის ვარშემოც შენოსხდომიყვნენ რამდენიმე მეოჯახე გლეხები და მანდილოვნები; მათ შორის შევნიშნე ერთი ფრიალ ახვანია და მხარბუკით წარმოასადგე ვაჟაკი, რომლის ჩოხის ქვეშიდან რევოლვერის ლულა მოსხანდა. მე გულმა ფანტკალი დამიწყე. თითქოს გულმა იგრძნო, რომ მივალწიე ჩემს საწადელს ვიპოვე ის, ვისაც ვეძებდი. არაგის არ შევამჩნიე ჩემი მდგომარეობა. გაბედვით შევედი სახლში და კარებში გავჩერდი. მისალმების შემდეგ მასპინძელი გამოეშურა ჩემკენ და მიგვიწვია სუფრაზე. თუმცა მე კარგათ მიცნობდნენ, როგორც მთავრობის მოხელეს, მაგრამ თუ რა განზრახვით გავჩნდი აქა ასე უღროვით, ამაზე ეპვიც კი არაგის შეუტანია, რადგან ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მე მათთვის მგენე ადამიანი არ იყავი, სწორედ ამისათვის მასპინძელმა ხელ დაქერილი ამიყვანა ტახტზე და მუთაქაზე დამსო და სწორედ ამ კაცის გვერდით, რომელიც მე საეკოდ დავინახე. როდესაც კარგათ შევდაყრიდი, შეუდექი ჩვეულებრივ ლინის სმას, მაგრამ ძალიან სიფრთხილით კი, რომ მეტი არ მომსულიყო, იმდენათ დავანტერესე ჩემი სიტყვებით აქ მყოფნი გლეხები, რომ ჩემ მიერ საეკოთ ცნობილმა პირმაც კი ხელი გადაიხვია და კაცმა დამიწყე. ის ძალაზე მთვარელი იყო და

მეც ამაზე კარგა და მარჯვე დროს ვერ ვიპოვიდი, რომ დაწვრილებით გამეგო მისი ვინაობა და დავწმუნებულეყავი, რომ ეს ის პირია რომელსაც მე ვეძებდი!

მან სიმთვარის გამო სრული გულახდილობა გამოიჩინა და დაწვრილებით მიამბო თუ როგორ მოატყუეს ის და როგორ ვახვიეს ჩალოცავიშვილის ბანდაში და თან გულწრფელათ შემომფიცა თავისი ცოლშვილი, რომ მას ადამიანის სისხლი არ დაუღვრია!

აქ ჩემმა სინდისმაც ქეჯნა დამიწყე, რადგან მე მინდოდა მისი დაქერა და დარწმუნებული ვიყავი მას უმაღლესი სასჯელი არ ასცდებოდა, და მე კი მინდოდა ეს უბრალო შრომის შვილი, გლეხი, არ დამეღუნა და ამავე დროს მთავრობის მოლაღატე არ შეექმნილიყავი. ბევრი ფაქრის შემდეგ მაინც გადავწყვიტე: მას მე მაინც დავიჭერ თუ შეძლებ და შემდეგ რაც უნდა დამიჯღმეს ვეცდები, რომ ამ ადამიანს სიცოცხლე შევანარჩუნო და ისევე დაუბრუნდეს თავის ცოლშვილს და თავის პატიოსან შრომას მოკიდოს ხელი სოფლათ.

ამ მოსახრებით მე საიდუმლოთ გადავეცი ერთ ჩემს ამხანაგს, რომ სადაც იყოს არაყი იშოვოს და ჩემათ აურისოს ღვინოში. ეს განკარგულება სწრაფათ იქნა სისრულეში მოყვანილი და რამდენიმე ჯამით არაყ შერეული ღვინო გამოცალა და ჩქარა ეს უშველებელი ვაჟაკი ცელგამოსმულ ბალახით იქვე გადაეშვა და ღრმა ძილს მიეცა.

ხალხი ნელნელა დაიშალა. დავრჩი მე ჩემი ამხანაგებით და მასპინძელი, რომელსაც შემდეგ აუხსენ ჩემი მოსვლის მიზეზი და მასახურის მოვალეობა. მასპინძელი ძლიერ შეწუხდა, მაგრამ მე დავარწმუნე, რომ ამ კაცს არაფერს დაუშავებთ და ვეცდებით ეს მოტყუებული ადამიანი თავის ოჯახს დაუბრუნოთ.

შეუდექით ჩვენს მოვალეობას. გაეჩხრიკეთ მისი ტანისამოსი და ამოგაცალეთ მაუზური და რამდენიმე ათეული ტყვიები, დავიხმარე ამხანაგები და ხელფეხი მაგრათ შეუკარით, შემდეგ გამოვალვძიეთ გლეხები და ადგილობრივი მოხელეები, რომელთა დახმარებით ბანდიტი ურემზე დავაკარით და ისე გავემართეთ მისი სახლისაკენ, გაეჩხრიკეთ სახლი და აქაც ვიპოვეთ იარაღი.

გათენდა კიდევ. ჩვენ გავემზავრეთ დანიშნულ ალაგას, მაგრამ ვიდრე მოვიყვანდით, სადაც საჭირო იყო, ბანდიტმაც გამოიღვიძა და რომ თავის თავი ამ მდგომარეობაში იხილა ერთი მწარეთ ამოიხობა და მე მომმართა შემდეგის სიტყვით:

„იცი რას გეტყვი ძმობილო! შენ როგორც ვხედავ კეკიანი ბიჭი ხარ, რადგან ასეთი მოხერხებით ჩამიგდე ხელში. მაგრამ ერთს რას მესა გთხოვ და თუ შენში ადამიანობა არსებობს და ვაჟაკური გრძნობის პატრონი ხარ, მოდი სიკეთე მიყავი და აქვე დამხვრიტეთ, ბოლო მომიღეთ. რომ მოგრეე ამ ძალღერტ ცხოვრებას და ციხეში ტყვეთ კი ნუ ჩამავადებო.“

მე ის დავარწმუნე, რომ მას არც ციხეს ვა-

ვინც თანაგრძნობის ღირსი არ არის, მას ვერ მივანდობ ჩემ ფაქტ გრძნობას... ციხერს ფლიდსა და ვაიძვერას, პირში მივახლი უღიდეს წყრომას... ადამიანი, ვინც უნდა იყოს: ქალი, კაცი, გინდ მცირე წლოვანი, — მსურს ყველა იყვეს გულწრფელი, სალი, მტკიცე ნების და თავაზიანი... მგრძნობი ყოველგვარ უსამართლობის, — მასთან მებრძოლი შეუპოვარი ახალ ცხოვრების მძიებელი ახალი ყოფნის თამამი მგზავრი!..

სოა ხიდისთაველი.

ჩვენებ და არც სიკვდილით დაისჯება. მე შევასრულე ჩემი მთავრობის მონდობილება და დარწმუნებული ვარ რომ ჩემი სამსახურის ჯილდოთ მას დაუბრუნებენ თავისუფლებას. ჩემმა სიტყვამ დაამშვიდა ბანდიტი და ხმა აღარ ამოიღო იმ დრომდის, ვიდრე ჩამოვიყვანეთ ჩვენ სამართველომდის. მოვათავსეთ საიმედო ალაგას და მიუჩინეთ დარაჯები.

იმავე დღეს მოვახტი ცხენს და გამოვიყე თბილისისაკენ, ვინახულე უფროსები. ვაუწყე დაწვრილებით საქმის გარემოება. უფროსმა ამხანაგებმა წრფელის გულით, ხელის ჩამართმევით მადლობა გადამიხადეს, დაჯილდოვება აღმიტქვეს. მაგრამ მე ვთხოვე რომ ჯილდოს ნაცვლათ მაჩუქონ ამ ადამიანის სიცოცხლე, გაანთავისუფლონ იგი, რისთვისაც მე ჩემ საკუთარ სიცოცხლეს მძველათ ვტოვებ მთავრობის წინაშე თუ იმისაგან კიდევ გაიგონ საწინააღმდეგო მოქმედება.

დაკმაყოფილებული იქმნა ჩემი უცნაური თხოვნა. მეც ამის შემდეგ სიხარულისაგან გაბრუებული ამავე დღეს გავემზავრე სოფელში და ეს სასიხარულო ამბავი გადავეცი სოფლის მოხელეებსაც, გავანთავისუფლეთ ბანდიტი. ის დაუბრუნდა თავის ოჯახს, შეუდგა ისევ პატიოსან შრომას და სოფელმაც ის სოფლის მოწინავე კაცათ აირჩია და დღეს ის მხარზე ბერდენეკა გადაკიდებული სოფელს დარაჯათ უღდას.

აო, ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი ჩემს ცხოვრებაში, — დაამთავრა ამბავი ჩემმა მეგობარმა.


მუშა ალ. ბ — შვილი



გატაცებული სამხედრო გემებს გვიბრუნებენ.

ნარიკი.

3000 წლის მუცლის საწმინდე ზეთი.



დრედნოუტი „ვოლია“

აგებულია 1917 წ. შეიარაღებულია თორმეტი 12 დრუმიანი ზარბაზნით. წყალწყვა—22.600 ტონა.

1920 წლის ივლისში ვრანგელმა ყირიმიდან გაქცივისას გაიტაცა შვიი ზღვის ფლოტის 132 გემი, მათ შორის 30 მეტი სამხედრო.

მეფის უკანასკნელმა გენერალმა მოიპარა ხალხის ქონება, რომლის ღირებულება რამდენიმე ათეულ მილიონ მანეთს აღემატება.


ბიზერტაში გაემგზავრა საბჭოთა ტენიკური კომისია ფლოტის მისაღებათ.

საბჭოთა კავშირის წითელ დროშის ქვეშ ახლო ხანში დაგვიბრუნდება გატაცებული გემების პირველი ნაწილი.


ჩრდილოეთ ხალხების აკვანი.

ცნობილი დანიელი მოგზაური კნუტ რასმუსენი ახლახან დაბრუნდა ჩრდილოეთ ქვეყნებში თავის მეხუთე მოგზაურობიდან. რასმუსენმა აღმოაჩინა ესკიმოსების ახალი ტომი, რომელსაც ჯერ არ შეხებია ევროპის ცივილიზაცია და არც ერთი ევროპელი არ უნახავს. რასმუსენის აზრით ეს ტომი არის მონათესავე ყველა პოლიარქულ ქვეყნებში მცხოვრები ხალხების. ცხოვრობენ ისინი ვულფონის სრუტეს ჩრდილოეთ ნაპირებზე (ამერიკის ჩრდილოეთ-დასავლეთ ნაწილი).

მსვე ტახნიკის განვითარება.




საპატიმროების ტენიკას ამერიკაში ერთი ახალი გამოგონება შეემატა: მოტოციკლეტი პატიმრების გადასაცემად ციხეში და უკან. თუ როგორ არის მოწყობილი საპატიმრო მოტოციკლეტი ნათლად ჩანს ჩვენი სურათიდან. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ამერიკის სისხლის სამართლის დამნაშავეების მხრივ პირველი ადგილი უჭირავს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახლო ხანში ამერიკის ქალაქების ქუჩები გაივსება საპატიმრო მოტოციკლეტებით.



კრეისერი „ორსკოვ“

გემი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ლეიტენანტი შმიდტი 1905 წ. აჯანყების დროს.




კრეისერი „ალმაზ“

მსუბუქი კრეისერი, წყალწყვა—3300 ტონა.

ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ საფრანგეთმა იურიდიულათ იცნო საბჭოთა კავშირი და როგორც კი პარიზს ჩავიდა საბჭოთა ელჩი ანხ. ლ. ბ. კრასინი, დაისვა საკითხი ვრანგელის მიერ გატაცებული გემების უკან დაბრუნების შესახებ.


დაბრუნებული ყოფილი „თეთრი ფლოტი“ იდგომება საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელთა სადარაჯოზე.

დასაბრუნებელ სამხედრო გემებიდან საბჭოთა კავშირის თავდაცვისათვის მნიშვნელობის მქონე არიან: დრედნოუტი—„ვოლია“,



ჯაგშინიანი „გიორგი პოხედლონსეც“

წყალწყვა—11.230 ტონა.



საესკადრო ნაღმოსანი „კაპიტან საკენ“

შეიარაღება: 5 მსუბუქი ზარბაზანი და სამი ნაღმის გასასროლი აპარატი.

საფრანგეთი დასთანხმდა. 10 ნოემბერს, საფრანგეთის მთავრობის განკარგულებით ამ გემებზე, რომლებიც იდგნენ ბიზერტის ნავთსადგურებში (ადრიაკა) ჩამოშვებს მეფის დროშა.

კრეისერები: „ორსკოვ“ და „ალმაზ“, ნაღმოსნები: „ცერია“, „ბესპოკოინი“, „დერზი“, „გნენი“, „პოსპეშნი“, „პილკი“, „კაპიტან საკენ“, „ჟარკი“, „ზონკი“, და „ზორკი“.



პირი აპკ.

კატასტროფა

„ფიციცა ვილაპარაკო მხოლოდ სიმართლე“. —სასამათლოში ფიცის მიცემის ამ სიტყვებით იწყება პიერ ამპის „ლილის ფიქრები“. ამ სიტყვების გიგრაფიათ წამდგარება შეიძლება მთელი მისი შემოქმედებისათვის. გამოსული ხალხის წრიდან, მუშა, რომელმაც შეისწავლა შრომის სხვადასხვა დარგები, დაულაღვი შრომით გაიკაფა ზნა მწერლობისკენ, —ამი თანამედროვე ფრანგული მწერლობის თავისებურ ფიგურას წარმოადგენს.

ის სასტიკ პროტესტს აცხადებს იმის გამო, რომ „მხოლოდ შრომას არ უპოვია გამოხატულება ლიტერატურაში“.

მწერალი პროლეტარი, მუშათა ყოფა-ცხოვრების მკვლევარი, —პიერ ამპი არ არის მოკლებული მხატვრული შემოქმედების უნარს.

ამპი ნახს უსვამს დასავლეთის მუშათა ყოფა-ცხოვრების უარყოფითი მხარეებს.

1918 წელს სექტემბერში კლარანსის მალაროებში მიწის წილში მთელმარე მკვლელმა გაიღვიძა და დაალო თავისი ცეცხლის მფრქველი ხახა. ბუფში!

თავს უშველქ ვისაც შეგიძლია —გაიქეცი, მაგრამ შორს კი არა, არ გაშორდე ორას მეტრს, შემდეგ ისევ უკან დაბრუნდი, რომ მოუარო დახცილებს. არასოდეს სისწორით არ შეიძლება აღრიცხვა იმათი ვისაც უყვარდ მოუსწრო სიკვდილმა, არც იმათი, ვინც დაეცა მასთან შეუპოვარ ბრძოლაში.

ზევით ნახევრათ დამწვარი გვამების ამოღების დროს აუარებელი ხალხი იყრის თავს, გასაქანი არ არის, სურთ გაიგონ ვინ მოკვდა, ვინ დაობლდა, ვინ დაქრივდა. შემდეგ კი —სრული მორჩილება ბედისადმი.

მალაროში ცეცხლი გაჩნდა კვამლი ცას წვდება ჰაერის გასაწმენდ მილებიდან ამოხეთქლი. აქეთ იქით დარბიან საშველად.

სიკვდილის წილში, 500 მეტრის სიღრმეში ეშვება კალთი. მალაროს მუშები, რომლებიც ზევით დარჩნენ, თვალყურს აღვენებენ მანქანის ნორმალურ მუშაობას. ისინი კი ვინც ჩაეშვა განწირულთა დასახმარებლათ, ნახევარ ხაათზე მეტს რჩებიან იქ. აი, ისინი კვლავ გამოჩნდნენ. მათი ლურჯი სამუშაო ხალათები გასვრილია ნახშირში, ოფლი კი რომელიც წურწურით ჩამოსდის მათ სახეზე, ამტკიცებს თუ როგორის თავგანწირვით მუშაობდნენ ისინი. ისინი სარგებლობენ მცირე ხნის დასვენებით, რომ მოსწიონ თამბაქო ოთახში, სადაც ინახება ბალონები მევაბადით საესე. მათ თითები შავ კვალს ტოვებენ თოვლისფერ გილზეზე. 20 წუთის შემდეგ ისინი კვლავ მზად არიან, რომ ჩაეშვან მალაროში და განაგრძონ ბრძოლა.

მეთვალყურე ინჟინერიც ეშვება მათთან ერთად. მისი სიცოცხლეც საფრთხეშია, მაგრამ მას ამით თითქო სურს გამოისყიდოს პრივილეგიური მდგომარეობა მოხელისა, რომელიც შედარებით იოლ შრომაში კარგ გასამრჯელოს იღებს. ბრძოლათ წასულღებს იღებენ. ინჟინერის ტუჩებზე ნაძალადევი ლიმილი ათამაშდება. ერთი შეხედვაც კი საკმაო, რათა დინახო, რომ ის თავის საქციელს რაღაც არაჩვეულებრივით თვლის. ეს სათუთი და ცხოვრებისგან გალაღებული ვაჟკაცი, გაბედულია მხოლოდ ძალაუნებურათ, სხვისი წაბამებით. განა შეუძლია მას შეედაროს ვისმეს აქ მებრძოვი ხალხში!

ქალებს გამოაქვთ კუბოები და აწყობენ პატარა ჯაგებზე.

ქვრივები ჩუმათ ქვითინებენ.

გაზეთების რეპორტიორები, რომ გული აუტუჩონ მკითხველს, ამახინჯებენ ამ უბრალო და ამავე დროს გულის შემზარავ სცენას. ისინი იგონებენ პატეთიურ გლოვას, მოთქმით, წვილ-კვილით, მათ არ შესწევთ ძალა სინამდვილის მთელი ტრალიზმის გადაცემისთვის.

სანათების ოთახში ტოვებენ მხოლოდ გამოუცნობ გვამებს. ჟანდარმები ოთახში უშვებენ ყველას.

ექიმი ეკითხება ერთ კაცს, რომელსაც უნდა კუბოს ახადოს სახურავი.

— ვის ეძებთ თქვენ?

მალაროს მუშა ჯავითარებული სახით მიუთითებს აქვითინებულ ქალზე.

— ეძებთ მის ქმარს.

ექიმი მოთხოვს უფრო ვრცელ ცნობებს.

— რამდენი წლის არის?

— ოცდაორი წლის.

— არა. აქ ვიღაც სხვა ასენია. ნახეთ სხვაგან.

კუბოს ახდლ სახურავ ქვეშ მოსჩანს ჯვალის ტომარა. მას ასწევენ იმ მხრიდან, სადაც თავი უნდა იყოს. ის რაც წარმოუდგება მათ თვალებს საშინელების გრძობას არ იწვევს, რადგან გვამს ადამიანის მსგავსების არაფერი არ შერჩენია. ეს არის რაღაც შავი ბურთი. გამოცნობა მეტად ძნელია. საჭიროა ძლიერ დაკვირვება. ერთი იქ მყოფთავანი ამბობს:

— უფრო შავია ვიდრე ნახშირი.

ნახევრათ ღია თვალი ისე მოსჩანს, როგორც თეთრ წერილი შავ ლაქაში. ქალი ცდილობს გამოიცნოს. უყურებენ სხვებიც.

ქალი ცდილობს მოიგონოს განსაკუთრებული ნიშნები.

— მას დაღი ჰქონდა ხელზე.

ექიმი მხრების აწევით უპასუხებს. მაგრამ მაინც დაიწვეს და მაკარტლით გასკრის ტომარს. გამოჩნდება ნახევრად დამწვარი ხელი. არავითარი ნიშნები.

ყველანი, ვინც იცნობდა ამ ფერფლად ქცეულს, ჩაუვლის მას გვერდს.

ქალი თითქო ყოყმანობს და შემდეგ გაუბედავად ამბობს:

— დღეს დლით მე უკვე ვნახე აქ ერთი. და მგონი ის უფრო უნდა იყოს ჩემი ქმარი, ვიდრე ეს.

ქალი კვლავ ჩუმად ქვითინებს. ექიმს უხდება მდგომარეობის განმარტება.

— ის უკვე წაიღეს. ყველანი, ვისი გამოცნობაც არ შეიძლებოდა უკვე გამოიცნეს. თქვნი საქმეა, ძალას ვერავინ ვერ დაგატანს.

ხალხი ათვალეირებს კუბოებს. კუბოს სახურავებზე ცარკით წაწერილია კუბოში ჩასვენებულთა გვარები.

მინებთან კარებში მოსჩანს თუ როგორ განაკრძობენ მუშაობას მეორე ოთახში. გარედან არავითარი ნიშნები არ არის მომხდარი კატასტროფის, გარდა კედელზე გაკრულ განცხადებისა:

მსხვერპლთა დასაფლავება

დანიშნულია

პარასკევის

დღის 10 საათზე.

ეზოში მუშები, ჯგუფ-ჯგუფად შეკრებილი, ლაპარაკობენ მომხდარი ამბების შესახებ.

ზევით კვლავ ჩნდებიან მალაროში მომწყვედილთა გადასარჩენად გაგზავნილები.

გზაზე, ახლად გათხრილ საფლავთან სტიორის ახალგაზრდა ქალი, რომელიც გარს ახვევიათ მშობლებში. ქალის მოთქმიდან ირკვევა, რომ ის შეუშინებია დამწვარი ქმრის საშინელ სახეს.

— მისი ცნობა არ შეიძლება, ის სულ დამწვარია.

სხვა ქალები თავს იკავებენ.

ჟანდარმები ჯდებიან სადაც ახერხებენ. ისინი დალაა ამ შეუპოვარი ხალხის მეთვალყურეობამ.

გონტორის კარებთან აუარებელ ხალხს მოუყრია თავი, აქ არიან ყველანი, ვისაც სურთ ბილეთების მიღება, რომ გადავიდნენ სამუშაოთ სხვა მალაროებში. ვილაყა, რომელიც, როგორც სჩანს კარგათ იცნობს ახლო-მახლო აღვილებს, ურჩევს მათ ნუ დაკარგავენ ტყუილათ დროს.

— აბა რა ჯანდაბათ გინდათ ეს ქალაღლის ნაგლეჯები. უამისოდაც სიამოვნებით მივიღებენ სხვა მალაროებში.

გორაკიდან, სადაც მოთავსებულია კლარანსის მალაროები, მოსჩანან მარლის მალაროები და ჯარისკაცებივით ჩარაზული სახლები. მეორე მხრით —40 წუთის სავალ მანძილზე მოსჩანს მალარო № 5, რომელიც ეკლთენის ბრიუვის.

ვილაყ ცილინდროსნები მსჯელობენ კატასტროფის ფინანსიურ მხარეზე.

— ჰა ვაფუქებული არ არის. გალიერიის შეკეთება ადვილად მოხერხდება. ყველაზე ძნელი საქმეა მუშების კვლავ შეკრება, რომ 2-3 თვის შემდეგ განახლებული იქნეს მუშაობა. მრეწველობა ყოველი ფეხის ნაბიჯზე გრძობს მუშახელის ნაკლებობას.

კაცი, რომელიც ჩამოვიდა ლილიდან, ადგენს ზარალის ჯამს.

— კლარანსი პადე-კალეს ყველაზე პატარა რაიონია. ნახშირის ამოღება იწყება 900 მეტრის სიღრმიდან. მალაროს მუშები ვერ მუშაობენ ისე კარგათ, როგორც უფრო ვრილ მალაროებში. ეს უხერხულობა ძლიერ დიდ გავლენას ახდენს აქციების ფასზე. მათი ნომინალური ლობებულება უდრისადა 250, იყიდებოდა 415, ახლა ორასათაც არავინ იყიდის.

— განა ყიღდა კი ღირს? რომ საჭირო დარჩეს მალაროებში მუშაობის შეჩერება? აქაური კომპანიის არ მოვუბოება ისეთი თანები და ფონდები, როგორც მსხვილ ძველ საზოგადოებებს, მაგალითად კურკერისას, რომლის აქციები 1906 წ.

წერილი მამას.

ძვირფასო მამა! მართა
კიდე არ მომიწერია!..
იცოცხლე კარვად და მარად!
მოისპოს შენი მტერი!..

საბჭოთა ხელისუფლება
მუშის და გლეხის შვილია!..
მათი მტველი და ღარაჯი!
მედგარი, გამოწრთენილია!..

მე გამაგზავნეს მუშუაქში.
ესწავლობ კარგად და ბეჯითად!..
მუშისა და გლეხის შვილასა
აქ ეპყრობიან გულტკბილად!..

მუშუაჯი შრომის სკოლა:
იქ ასწავლიან მშრომელებს!..
საბჭოთა ხელისუფლება
მათთვის არაფერს იმტურებს!..

როს გავათავებ მუშუაქსა
კაცი გამოვალ მამათ!..
ხალხის ერთგული დარაჯი,
დამცველი მტრისაგანაო!..

მტერს დაუხედებთ ერთგულად!..
მოვსობთ ამ ქვეყნად მათ სისინს!..
და გაიგონებს მსოფლიო
ჩავგრულთა ტკბილს და ნაზ ლიღინს.

საბჭოთა ხელისუფლება
ამ ბრძოლის თვალი იქნება!..
მშრომელთ ერთგული დარაჯი,
მათი სახელი, დიდება!..

ვინც ამ ბრძოლაში დაიხვეს
და გაიქცევა უკანა!..
მას ზიზღს მიუძღვის მსოფლიო,
იმას გაკიცხავენ ქვეყანა!..

მუშათა კლასი წოლიანად
გასწმენდს მსოფლიო მტრელებს!..
ჩავგრულთ გაუხსნის ბოროტებს!..
მონაბის რკალებს დაამხვრევს!

მამინ დადგება დროება
შრომის მეფობა—ცხოვრების!..
და ასრულდება მამაო,
სურვილი მუშა-გლეხების!

ბ. უჩანეთვილი

ლიტერატურა

რუსეთი

„პუგაჩევი და ეკატერინე მეორე“. დ.
სმოლინმა დასწერა დრამატული პოემა „პუ-
გაჩევი და ეკატერინე მეორე“.

„არაღმგარული მუშაობა“. მწერალმა
ლენინმა დაამთავრა პიესა „არაღმგარული
მუშაობა“.

„ხალხის აღშფოთება“. ვ. გილიაროვიკი
სწერს პიესას „ხალხის აღშფოთება“ („სტენკა
რაზინ“).

კ ი ნ რ

რუსეთი

„გოსკინო იღებს მეცნიერულ სურათს
„სიცოცხლის წარმოშობა“. სცენარი ეკუთვნის
რუს მეცნიერებს.

„მასწავლებელთა ყრილობა“. სევზაკინო
უშვებს სურათს „მასწავლებელთა საკავშირო
ყრილობა“.

„სადგურის დარაჯი“. კინო-საზოგადო-
ება „მეკრაბომ-რუს“ იღებს სურათს „სად-
გურის დარაჯი“, ა. პუშკინის მიხედვით.

„იბიკუს“. „მეკრაბომ-რუს“ შეიძინა
ა. ტოლსტოის სცენარი სახელწოდებით—
„იბიკუს“.

„ახალი ძალა“. რ. კ. პ. მოსკოვის კო-
მიტეტის ქალთა განყოფილებამ დაავალა „სევ-
ზაკინოს“ გადაიღოს სურათი „ახალი ძალა“.

„ცხენოსანი ჯარი“. სევზაკინოს რეჟი-
სორი ეიზენშტეინი შეუდგა გადაღებას სურა-
თის „ცხენოსანი ჯარი“. სცენარი მოწონებუ-
ლია ანხ. ბუდიონისა და ვეროშლოვის მიერ.

„ახალ ფრ-ნტე“. ახალი სასპორტო
ფილმის „ახალ ფრონტზე“-ს დადგმა სევზაკ-
ინომ დაავალა დიმიტრიევს.

„ეკლექტიკა“. სევზაკინოს კინო-ექს-
პერიმენტალური სახელოსნო ამ თვეში დაამ-

ხელოვნების ქრონიკა.

„ვეფხვის ტყაოსანი“ სცენაზე. პოეტი
სანდრო შანშიაშვილი პიესათ აკეთებს შოთა
რუსთაველის „ვეფხვის ტყაოსანს“. პიესის დად-
გმა განზრახულია რუსთაველის თეატრში.

ახალი ოპერა. კომპოზიტორი ზაქარია
ფალიაშვილი სწერს ახალ ოპერას. „ლატავრა“.

სიუჟეტი აღებულია სანდრო შანშიაშვილის
იმავე სახელწოდების პიესიდან.

„დურუჯი -ს წლის თავი. ქართველ
მსახიობთა კორპორაციამ დიდის ზეიმით ილდე-
სასწავლა თავისი არსებობის ერთი წლის თავი.
ამ დღისათვის გამოშვებული იყო მანი-
ფესტი ქართულ თეატრზე და ღია ბარათები
კორპორანტების სურათებით.

ქართველ ებრაელთა დრამატული და-
სი. თბილისში შესდგა ქართულ ებრაელთა
დრამატული დასი. რომელიც წარმოდგენებს
მართავს (თვეში ერთხელ) მცირე თეატრში.
რეჟისორათ მიწვეულია ლადო ანთაძე.

ახალი თეატრი. თებერვლის შუა რიც-
ხევიდან თბილისში კინო „არფასტის“ ქვემო
სართულში გაიხსნება რევოლუციონური სა-
ტირის თეატრი.

თავრებს მეცნიერულ სურათის „ეკლექტიკის“
გადაღებას.

„ნაპერწყლიდან ალი“. სევზაკინო „ფო-
ლადის წეროების“ შემდეგ უშვებს კიდეც სამ
სურათს სერიიდან „ნაპერწყლიდან ალი“.

„მაკლონალდის კარიერა“. გოსკინო ამ-
თავრებს სურათს „მაკლონალდის კარიერა“ ანუ
„ერთი ფურცელი ინგლისის მუშათა მოძ-
რაობიდან“.

„მოსკოვი ცეცხლში“. გოსკინოს სახე-
ლოვნო საბჭომ მიიღო დასადგამათ კისელი-
ვის სცენარი „მოსკოვი ცეცხლში“ (სამოქალა-
ქო ომის დასაწყისი, ბრძოლა მოსკოვის ქუ-
ჩებში).

„ჯალათები“. კინო-სევერ ახლო ხანში
ამთავრებს სურათს „ჯალათები“.

„თორმეტი“. ბლოკის „თორმეტი“ გადა-
ღებული იქნება ეკრანზე „რიურაისის“ სახელ-
წოდებით.

უცხოეთის კინო-ქრონიკა. სევზაკინომ
უცხოეთიდან მიიღო კინო-ქრონიკა: „უორისის
ნეშტის გადატანა პანთონში“, „ანატოლ
ფრანსის დასაფლავება“ და სხვა.

ამერიკანისაცია. სევზაკინოს კინო-
ქარხნის კულტ.კომისიამ შემდეგ არაჩვეულებ-
რივ შედგეს მიაღწია: ერთ ერთ კინო-თეატრ-
ში სურათის ჩვენების შემდეგ ანტრაქტებში
გადაიღო დამსწოე ხალხი და სენსის დამთავ-
რების შემდეგ ახლად გადაღებული სურათი
უჩვენა ხალხს.

უცხოეთი

„გელდა გაბლერ“. ბერლინში დგამენ
სურათს „გელდა გაბლერ“ (იხსენის მიხედვით).

„ათი მცნება“. სურათი „ათი მცნება“
(დადგმა რეჟისორ სესილ დე-მილის) უკვე
მეორე წელიწადია არ მოუხსნიათ კინო „კრი-
ტიკონის“ (ნიუიორკში) ეკრანიდან. მეორე
წლის დასაწყისში, მახიობებმა, რომლებიც
თამაშობენ ამ სურათში, პირადად მიიღეს
კინოში მოსული ხალხი.

კატასტროფის დროს დაეცენ 1200 ფრანკმდი,
ახლა კა 5150 ფრანკათ იყიდებიან.

ანგარიშით ვატაკებულმა ცილინდროსნებმა
ვერც კი შეამჩნიეს ჯავგი, რომელზეც ორი
კუბო იდგა. გზა მისცი.

აგრომობლით ჩამოსულმა შიში გამოსტკვა:
— თუ სახელმწიფომ მოითხოვა დასაზღვევი
პენსიის მთლიანად გადახდა, საკირო დარჩება
აქციების გაყიდვა. მარლი და ბრიუგი მხო-
ლოდ ამ წუთს უცდიან. განსაკუთრებით უკა-
ნასკნელი.

გვერდზე გადახრილ ქობის წინ ვილაც მუ-
შას ჯვარათ გაეკეთებია თივა. მხოლოდ ეს
მოწმობდა, რომ ამ ქობს სიკვდილი ესტუმრა.
კედლებს შუა მომწყვედიელ მწუხარებას სხვაფ-
რივ ვერეინ შენიშნავედა.

გორაკიდან მოსჩანდენ არტუსს ტალღისე-
ბური ხაზები და ფლანდრიის ველები. წვი-
მიანი დღე არ არღვევდა ხალხის სიმშვიდეს.
წვიმის წვეთები ასეველებდენ მიწას, საიდანაც
იკრებდა ძალას და მწუხარებას შრომისა და
უუფლებობის ეს მძლავრი რასა.

ვილიამ დორიანის გასტროლები. 12
თებერვლიდან სახელმწიფო ოპერაში დაიწყო
გამოჩენილი იტალიელ მომღერალის (ტენორი)
ვილიამ დორიანის გასტროლები.

სობინოვის ჩამოსვლა. აპრილის ბოლო
რიცხვებში თბილისში მოელოან რუსეთის სა-
ხალხო არტისტს, გამოჩენილ მომღერალს ლეო-
ნიდ სობინოვს, რომლის მონაწილეობითაც
დაიდგება რამოდენიმე ოპერა.

ა. ვ. ნევედანოვა. სახელმწიფო ოპერის
დირექტია მოლაპარაკებას აწარმოებს დამსა-
ხურებულ მსახიობ ა. ვ. ნევედანოვასთან მისი
ჩამოსვლის შესახებ თბილისში.

ფ. მუხტაროვა. ცნობილი მომღერალი
ქალი ფატმა მუხტაროვა, რომელიც მიმდინა-
რე სეზონში ხაოკოვში მღეროდა, მოწვეულია
თბილისის სახელმწიფო ოპერაში. ის პირვე-
ლათ გამოვს ოპერა „კარმენ“-ში.

პეტრე მეგრენბლოუმში. ამერიკაში დიდ
ალტაცებას იწვევს სკრიპაკაზე დამკვერელი პეტ-
რე მეგრენბლოუმი, რომელმაც დაამთავრა თბი-
ლისის მუსიკალური სასწავლებელი.

ელენე პოლვეიცკაის გასტროლები: 10 თებერვლადან რუსთაველის თეატრში მიღის დრამატიული მსახიობის ელენე პოლვეიცკაის გასტროლები. პოლვეიცკაიამ მოსკოვიდან თბილისში ჩამოიყვანა ყოფ. კორნის თეატრის მთელი ანსამბლი.

მოსკოვის პატარა თეატრის ჩამოსვლა. მისის პირველ რიცხვებში თბილისში ჩამოვა მოსკოვის პატარა თეატრი სრული შემადგენლობით, რომელიც აქ გაშარათავს 10 წარმოდგენას. გასტროლები გაიმართება ოპერის თეატრში.

მოსკოვის სამხატვრო თეატრის ჩამოსვლა. აპრილის ბოლო რიცხვებში თბილისში ჩამოვა მოსკოვის სამხატვრო თეატრი ნემირაიოვი-დანჩენკოს მეთაურობით. წარმოდგენები გაიმართება სახელმწიფო ოპერაში.

ლენინის ბიუსტი. მოქანდაკე მიშა ჭიაურელმა დაამზადა ლენინის ბიუსტი. ლენინის სახე აღებულია იმ მომენტში, როდესაც ის სიტყვას ამბობს. ბიუსტი დადგმული იქნება სახალხო კომისართა საბჭოს სხდომების დარბაზში.

ვიტალი ლაზარენკოს გასტროლები. ძმ. ტანტების ცირკში ამ ჟამთამიღის ვიტალი ლაზარენკოს გასტროლები. ლაზარენკო რევოლუციური სატირების შემქმნელია რუსეთში.

„ახალი ცირკი“. ძმ. ტანტების რეაქტორობით ახლო ხანში თბილისში გამოვა ჟურნალი „ახალი ცირკი“, რომელშიაც გამოქვეყნდება ახალი რევოლუციონური ცირკის საკითხები.

მოსკვის ოპერეტა. აპრილის შუა რიცხვში თბილისში ჩამოვა მოსკოვის ოპერეტა გრეკოვის და ქსენოვსკის მეთაურობით. რეპერტუარში შედის ყველა ახალი სახლვარგარეთელი ოპერები.

თ. მაქსიმოვა. მსახიობ ქალი თ. მაქსიმოვა შევიდა რუსულ დრამატიულ დასში.

უიხარევა. ცნობილი დრამატიული მსახიობი თეატრის უიხარევა ამ ჟამთ თამაშობს რიგაში (ლატვია). რიგაში ყველაზე უფრო მეტი სიმპატიებით სარგებლობს რუსული დრამატიული თეატრი და გერმანული ოპერეტა.

„ტარიელ მკლავაძე“. რეჟისორმა ი. პერესტიანმა დაამთავრა კინო-სურათ „ტარიელ მკლავაძის“ მინორტი. სურათი ნაჩვენებია იქნება ახალ მომავალში.

ხაჯი მურატი. რეჟისორი პერესტიანი შეუდგა მოსამზადებელ მუშაობას კინო-სურათ „ხაჯი-მურატის“ გადასაღებათ. მთავარ

როლებს შესრულებენ: მიშა გელოვანი — ხაჯი-მურატი და გრიგოლ რობაქიძე — შამილი.

„რევოლუციის ყვავილები“. საქართველოს კინო-მრეწველობა ახლო ხანში შეუდგება რევოლუციონური ტრილოგიის „რევოლუციის ყვავილები“-ს გადაღებას; იდეა და დადგმა რეჟ. ი. პერესტიანის.

„მედელო მიქავა“. საქართველოს კინო-მრეწველობის რეჟისორი ბეკ-ნაზაროვი შეუდგა მოსამზადებელ მუშაობას „მედელო მიქავას“ გადასაღებათ. მოქმედება იშლება ძველი საქართველოს ცხოვრების ფონზე. სცენარის დამუშავებულია შიშარიოვის მიერ.

საქ. კინ.-მრეწ. პარიზის გამოფენაზე. საქართველოს კინო-მრეწველობა მიწვეულია პარიზის სამხატვრო-სამრეწველო გამოფენაზე. გამოფენაზე ექსპონატებით მიეგმება კინო-მრეწველობის დირექტორი გერ. გოგიტიძე.

გამართებული ხელსაწყოები. საქართველოს კინო-მრეწველობამ გერმანიიდან მიიღო გამოფენაზე ხელსაწყოების დიდ პარტია. მათი საშუალებით მოსახერხებელი იქნება სურათების ყოველგვარ ამინდში გადაღება, რაც შეამცირებს ხარჯებს და გააიადებს პროდუქციას.

„სამი სიცოცხლე“. საქართველოს კინო-მრეწველობის სურათი „სამი სიცოცხლე“ დიდ აღტაცებას იწვევს მოსკოვში. პრესა ქებით იხსენიებს რეჟისორ პერესტიანს, რომელმაც შესძლო ასეთი მხატვრული სურათის გადაღება.

„წარსულის კომპარები“. რეჟისორმა ბარსკიმ დაამთავრა ახალი რევოლუციური სურათი „წარსულის კომპარები“. სურათი ნაჩვენებია იქნება ახლო მომავალში.

„ვეროპა“. გამოვიდა და იყიდება იონა ვაკელის პოემა „ვეროპა“, წიგნი სუფთათ არის დაბეჭდილი და ღირს 90 კაპ.

კ. გამსახურდიას ნაწერები. იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა კონსტ. გამსახურდიას ნაწერების მეორე ტომი.

ფუტურისტების ჟურნალი. გამოვიდა და იყიდება ფუტურისტების ჟურნალი „ლიტერატურა და სხვა“. ჟურნალი ღირს 1 მან.

„ბასტილიის აღება“. წითელ თეატრში მორიგი პრემიერა იქნება რომენ როლანის რევოლუციური პიესა „ბასტილიის აღება“ პიესას სდგამს რეჟისორი ვახტანგ ვარციკი.

მოსკოვის დიდი თეატრის 100 წლის იუბილე. მიმდინარე წლის 1 თებერვალს შესრულდა 100 წელი დღიდან მოსკოვის დიდი თეატრის დაარსებისა. ეს დღე თეატრმა დიდის ზეიმით ილღესსაწუღა.

ახალი გათხრები ეგვიპტეში. ამერიკის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, რომელიც გათხრებს ახდენს საკვარის საფუხურიან პირამიდაში, იპოვა საიდუმლო შესავალი აკლამაში, რომელიც ეკუთვნის, ისე როგორც პირამიდა 3500 წლით უფრო შორეულ პერიოდს, ვიდრე ფარაონ ტუტუ-ამაზონის აკლამა (3000—3500 წელი ქრისტეს დაბადებამდე). ექსპედიციამ იპოვა აგრეთვე ფარაონ პეპის პირველის ქანდაკება. პეპის პირველი მეფობა ეგვიპტეში ისტორიული ეპოქის დასაწყისში.

ახალი კომპაზი სახარის უდაბნოში.

საუკუნოებებს სანმავლობაში არაბებს შორის არსებობდა თქმულება ზღაპრულ ქალაქზე, რომელიც სახარის უდაბნოს სიღამ დაფარა, გადმოცემით ეს ქალაქი მდებარეობდა ათი მილის მანძილზე ახლანდელი ტრავპოლიდან: იქ იყო დიდი რომაული ქალაქი Leptis Magna, იტალიის მთავრობამ ამ რაიონში ვიწრო რკინისგზის ხაზი გაიყვანა რევილმზრეი უწყობდა ხელს გათხრებს. წინასწარმა მუშაობამ უდაბლო დაამტკიცა, რომ აქ არის უძველესი ისტორიის ყველაზე ძვირფასი საგანძური. აქ იპოვეს არა მარტო რომაულ პლასტიკის შესანიშნავი ნაწარმოებნი, არამედ ქანდაკებანი, რომელნიც ეკუთვნის ბერძენთა შემოქმედების საუკეთესო პერიოდებს. ამ ქალაქში იშვა სეპტიმი სევერ და მისი სასახლის დიდი ნაწილი უკვე ამოთხრილია. ფიქრობენ, რომ ქალაქის მოსახლეობა აღწევდა 300000-მდე. არქეოლოგებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ აქ ნაპოვნი იქნება აუარებელი განმეულობა: ოქრო ვერცხლი, ძვირფასი ქვები და აგრეთვე უძველესი მანუსკრიპტები.

ისტორია არ გვეუბნება თუ როგორ დაიღუპა ეს ქალაქი, მაგრამ შესაძლებელია, რომ ის გახდა მსხვერპლი მოლოდინი ურავანის რომელიც ხშირად მძინვარებს უდაბნოში.

შემთხვევით, წარსული საუკუნის ორმოციან წლებში უდაბნოში კვლავ ამოვარდა ასეთი გრივალი. ამ დროს იქ იპოვებოდნენ ფრანგი არქეოლოგები, როცა ყველაფერი დაწყნარდა, მათ თვალწინ წარმოუდგა გასაოცარი სურათი: სიღამში მოჩანდნენ მარმარილოს თლილი ბოძები. სახარის ქვიშამ ამის შემდეგ ვერ მოახერხა მათი დაფარვა.

1911 წ. ეს ადგილი გადაეცა იტალიას და მისი გათხრა დაიწყო ჯერ კიდევ ომამდე.

გათხრამ დაამტკიცა, რომ ქალაქი Leptis Magna იყო ნავთსადგური. ახლა ზღვა რამდენიმე ვერსით არის დაშორებული ამ ადგილს. მაგრამ ხორბლის საწყობები, საიდანაცოდეს-ლაქ ხორბლის ტვირთავდნენ ხომალდებზე, დარჩენ იმავე სახით, როგორც რომის ავეჯების ხანაში.

მეხნიერება და ტეხნიკა

უდიდესი ყვალქვეშა ნაწი,

ვეროპაში ახლა ბევრს ლაპარაკობენ განიარაღებაზე, მაგრამ ეს რასაკვირველია იმპერიალისტ-ყაჩაღებს არ უშლის ხელს განაგრძონ შეიარაღება. ინგლისი ამ ჟამდ აშენებს უდიდეს წყალქვეშა ნაგებებს. ამ რამდენიმე ხნის წინად იუწყებოდნენ წყალქვეშა ნაგებ L 43-ის შესახებ, რომელიც თითქო უდიდესი წყალქვე-

შა ნავი იყოს მსოფლიოში. 19 იანვარს კი პორტსმუტში წყალში ჩაუშვეს წყალქვეშა ნავი XI, რომელიც თავისი სიდიდით სკარბობს ყველა არსებულ წყალქვეშა ნაგებს. მის აგებას საიდუმლოდ ინახავდნენ. მისი სიგრძე უდრის 50 საყენს, შეუძლია გაიაროს საათში 50 ვერსი და შეიარაღებული რამდენიმე მსწრაფლ-მსროლელი ზარბაზნით.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური და ტფილისის კომიტეტის

და

სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელ-არმიელთა და გეგლვა-
ურთა დაკავშირების საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის


ყველ-დღიური ორგანო

„**კომუნისტი**“













„**მ ი ი ლ ე ბ ა**
ხელის მოწერა **მარტისათვის.**“

ხელის მოწერის პირობები:



მუშა-მოსამსახურეებისათვის, წ.-არმიელების, მოსწავლე
ახალგაზრდობისა და მასწავლებლებისათვის გაგზავნით

1 თვით 75 კაპ.		4 თვით 2—85 კაპ.
2 „ 1—45 „		5 „ 3—55 „
3 „ 2—15 „		6 „ 4—25 „

ყველა დანარჩენებისათვის:

ტფილისში მითანით:		პროვინციაში გაგზავნით:
1 თვით 1 მან. 	4 თვით 3—85 კაპ. 	1 თვით 1—20 კაპ. 
2 „ 1—95 კაპ. 	5 „ 4—80 „ 	2 „ 2—35 „ 
3 „ 2—90 „ 	6 „ 5—75 „ 	3 „ 3—50 „ 
		4 თვით 4—65 „ 
		5 „ 5—80 „ 
		6 „ 6—95 „ 

ყველა ხელის მოწერულს მიეძევათ ორკვირული დამატებები:

1. ჟურნალი „**ჩ ი რ ა ლ დ ა ნ ი**“.  ნოვით ხელის მოწერულს კი
(რომლებიც წინდაწინ შემოიტანენ ხვედრ ფულს)
2. „**მეხნიერება და ტახნიკა**“.  გარდა ამისა დაურიგდებათ:

1. ვ. მახარაძის წიგნი—„მენშევიკური პარტიის დიქტატურა საქართველოში“
2. ვ. ვნებელსის წიგნი—„კომუნისმის პრინციპები“
3. პ. ორბელიძის—„რელიგია და მარქსიზმი“

კანტორის მისამართი: ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24.